№ 63 მარტი 20, ხუთშაბათი 1886 მარტი 20, ხუთშაბათი № 63

ივერია

გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ხუთშაბათს, 20 მარტს

არტისტი გ. ს. ალექსეევ-მესხიევი

გამართავს

სასიმღერო და სალიტერატურო საღამოს

საღამო 5 განყოფილებისაგან
შესდგება, სხვათა-შორის
არტისტი წაიკითხავს რუსულად:

შეშლილის წერილები

თხზ. გოგოლისა და წარმოადგენს
ერთს სცენას შილლერის ტრაგედიიდამ

ავაზაკები

(2—2)

ქართული თეატრი

კვირას, 23 მარტს

ქართულის დრამატიულის დასის არტისტის დ. მ. აწყურელისაგან

გამართული იქნება:

კონცერტი

ოთხს განყოფილებად, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, ანდრონიკოვისა; და ბბ. აბაშიძე, მესხიევი, საბუელი, მოხევე, ნებიერიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 19 მარტს

ეხლანდელი საპოლიტიკო ყოფა ევროპაში არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენს. საპოლიტიკო საქმეები ისე აირივ-დაირივნენ, რომ, დიოღენსავით ფარნით იაროთ, ბევრს არას გამოარჩევთ იმ შავ-ღრუბლებიდამ, რომელიც პოლიტიკის ცას ასე სქლად მოეფინა. გაზეთებს რომ დაუჯეროს კაცმა, ევროპა თითქმის ომის დამის თევაშია. ვინ ვის დაეტაკება, როგორ დაეტაკება, სად დაეტაკება, ვინ ვის მიემხრობა—აი რაზედ ჰქლესავენ თავის მახვილ-გონიერებას ახლანდელნი მეპოლიტიკენი ამღვრეულის ევროპისანი.

საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთზედ ამრეზილნი არიან 1870 წლიდამ და ამ ბოლოს ხანებში ეს ამრეზა ჰმატულობს. კინკლაობა, რომელიც გერმანიის და საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობამ ამ ბოლოს დროს მოჰრთო, გვიმტკიცებს, რომ ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთზედ ბაღანი ამღილი აქვთ დღევანდელს დღეს. «გამოჩენილი საფრანგეთის ორატორი და გერმანიის დაუძინებელი მტერი პოლდერულედი, როგორც გაზეთი ‹Новости› გვაუწყებს: წასულა ევროპის მოსავლელადო. ტურინში სწვევია სახელ-გათქმულს იტალიის პუბლიცისტს ედუარდ ამიჩის, რადიკალთა კლუბებში წარმოუთქვამს ცხარე სიტყვა გერმანიის წინააღმდეგო; აქედამ წასულა გენუაში, იქაც საეროვნო მეთოფეთა კლუბში კვლავ უთქვამს იმ გვარივე სიტყვაო. გარიბალდის სიძეს გენერალს, დეპუტატს სტეფანოს კანციოს უპასუხნია და სხვათა შორის გაუხსენებია ‹სახელოვანი დღენი დიჟონში, სადაც კაი ლაზათი ვაჩვენეთო გერმანიას, იმ ჩრდილოეთის სისხლ-მსმელს›. ეხლა დერულედი რომშია, დ ერთს გავლენიანს რადიკალთა დეპუტატს პარლამენტში დაჰყავსო. იმისთანა სახელოვანთა კაცთაც კი, როგორნიც არიან მინგეტი, მანჩინი, კაიროლი, ზანარდელი, კრისპი და მებრვე სხვანი სასახელოდ მიაჩნიათ დერულედი გაიცნონო. იგი მიღებულ ყოფილა რომის პრეფეკტისა და ზოგიერთ მინისტრთა მიერ. ერთს რომელსღაც კლუბში დერულედს ულაპარაკნია ‹სამერმისო ომის› თაობაზედ და უთქვამს: შორს არ არის იგი დროო, როცა ევროპა თავს დაიხსნის ‹ამ ზემოურის ჭირისაგანაო›. რომიდამ აპირობსო საბერძნეთში წასვლას, იქიდამ ბუდა-პეშტში, ვენაში, პეტერბურგს, მოსკოვს, კოპენჰაგენს და ლონდონშიო›.

ესე ვრცლად და უკლებლად ამოვსწერეთ ეს სიტყვები ზემოხსენებულ გაზეთიდამ, იმიტომ რომ გვეცნობებინა ჩვენის მკითხველებისათვის, რა სუნი ტრიალებს დღეს ევროპაში. იმისთანა გამოჩენილი კაცი, როგორც დერულედია, ტყუილად თავს არ აიტკივებდა, ტყუილად არ დაიძროდა ადგილიდამ ამ გვარის ქადაგებისათვის, თუ რომ ნიადაგი ევროპისა ამისათვის მომზადებული არ ჰგონებოდა. იტალიაში მოგზავრობა და ის, როგორც იქ დახვედრიან, უფრო დაარწმუნებდა დერულედს, რომ იგი ამ შემთხვევაში შემცდარი არ არის. იტალია და გერმანია ამ ბოლოს დროს ერთმანეთს გაუგრილდნენ. ბისმარკმა, როგორც უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, ძველს ხერხს მოჰკიდა ხელი და პაპს დაუწყო ლაქუცი. პაპის გათამამება იტალიაში იტალიის მტერობაა.

ინგლისის სამინისტრო დიდ-ბრიტანიის სამზღვრებს დაუძინებლივ ამაგრებდა დღევანდლამდე. ეხლა სამინისტრომ უკვე გამოუცხადა პარლამენტს: ჩვენი კუნძული დღეს ისეა გამაგრებულიო, რომ ორი ძლიერი სახელმწიფო თავისის ფლოტით დაგვეცესო, ვერას გვიზამსო. აღმოსავლეთს და შუა აზიაშიაც დიდს მზადებაშია თურმე ინგლისი. რუსეთმა პენჯდე დაიჭირა და ამბობენ, ამისდა პასუხად ინგილისიც ცდილობს თავისი სამზღვრები განზედ გასწიოსო და ჰერათის და ბალხის გამაგრებას შეუდგაო.

ხმა დადის, რომ საბერძნეთს მხარს აძლევენ იტალია და საფრანგეთიო. ამას ცოტა ოდენი საბუთი იმაში აქვს, რომ არც იტალიამ და არც საფრანგეთმა თავისი ესკადრები არ გაგზავნეს სხვებთან ერთად საბერძნეთის საწინააღმდეგოთ. ამბობენ ამ ბოლოს დროს გლადსტონის სამინისტრომაც უფრო მომეტებულის მოწყალებით დაუწყო საბერძნეთს ყურებაო. ამას დაუმატეთ ბოლგარიის მთავარის ახირებაც, რომ არას გზით არ უნდა დაუთმოს დიდთა სახელმწიფოთა თავისი მემკვიდრეობითი გენერალ-გუბერნატორობა აღმოსავლეთ-რუმელიაში, დაუმატეთ ჰერცოგოვინის და ბოსნიის უკმაყოფილება ავსტრიის მიმართ, ამ ბოლოს დროს გამომჟღავნებული, დაუმატეთ ალბანიასა და მაკედონიაში რაღაც იდუმალი მოძრაობა, ავსტრიის

ფელეტონი

გმირისეულის ქალი

(მოთხრობა)

I

სოფელ ზედა-ჯერის ეკკლესიაში ის იყო წირვა გამოსულიყო და ხალხი გროვა-გროვად იდგა და ბაასობდნენ. მთელი ეს სოფელი და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებიც დიდ-პატივს სცემენ ამ საყდარს, რომელსაც ეძახიან სახელად ‹კუბოსა-მღვთის-მშობელს›. ალბად ხალხს იმიტომ დაურქმევია ეს სახელი, რომ იგი აღშენებულია მღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზედ. ისეთი მშვენიერი ადგილ-მდებარეობა უჭირავს ამ საყდარს, რომ ხალხს ძალა-უნებურად ხიბლავს მისი ტურფა სანახაობა; რაც უნდა ეშურებოდეს, მაინც მის მეიდანზე კაცი ბოლთას ჰკრავს, მისი ხეების ჩრდილში წამოწვება და ოცნებას მიეცემა. ეს საყდარი ძრიელ ძველის ძველია, აშენებულია სერის ძირში, ვაკე ადგილზე; ეს ვაკე თვითონ მეორე სერზეა, და გადასცქერის დაბლა სოფლის ჰალა-ვენახებს და თავს უფრო ილამაზებს მათითა. პირველ სერზე, რომლის ძირშიაც აღშენებულია ტაძარი ‹კუბოსა-მღვთის მშობლისა›, თვით სოფელი ზედა-ჯვარი მდებარეობს. ამ სოფელს შუა ჰყოფს დიდი ციხე, რომელიც გადმოსცქერია ძირს საყდარს და რომელიც ადრევ ყოფილა მცველი მთელის ხალხისა და თვით წმინდა ტაძრისაც. ეხლა-ღა იგი უქმად, თავმინებებული დგას, ხავსი შეჰფენია ძირიდამ, ქონგურები მონგრევია და შიგ დაუბუდნიათ ყვავებს და კისკისებს. მარტო-ღა ესენი დასჩხავიან სოფლის და მთელ ფრონის ხეობის მცველს-ციხეს და თითქოს ჰგლოვობენ მის დაცემულს, დაჩაგრულს ყოფასა. ჩრდილოეთის ნაწილს სოფლისასა ციხის-ზემოდ ჰქვიან ზემო-უბანი და სამხრეთისას ციხის ქვემოდ ქვემო-უბანი. ძველად ბევრი დავი-დარაბის მოწამე ყოფილა ეს ციხე, ბევრჯელ მისდგომია მტერი, მაგრამ მის მაგარ კედლებს ვერ შესვლია; ძლეულან ციხესავით მაგარ ქართველ მხედართაგან.

ეხლაც აქაურს ხალხში არ დაკარგულა ძველი სიმამაცე და სიმტკიცე გულისა და მკლავისა; ძველებური სული შვილით-შვილამდე გადმოსულა და შთანერგვია მტკიცედ ახალს თაობას. წელიწადში ერთხელ, დიდ მარხვის პირველ დღეს, რომელსაც ხალხი ყეენობას, ანუ შავს ორშაბათს, უწოდებს, შეიყრება მთელი სამასი კომლი სოფლის ზედა-ჯერისა: დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, გლეხი თუ აზნაური, ყველანი თავს მოიყრიან ამ ციხესთან. აქ მოიყვანს ზემო და ქვემო უბანი თავ-თავიანთს ყეენს. გაჩაღდება ძველი, მამა-პაპური სიმღერა, «ფერხული», ‹ცანგალა›, ‹ზე-მყრელო› და სხვა ათას-ნაირი გალობა-ვარჯიშობანი. ბაირაღით გარს უვლიან ორთავ უბნის თავ-განწირული ბიჭები. ბოლოს, როდესაც მზე გადიხრება, მთელი სოფელი განიყოფება ორ რაზმად; თვითეულს რაზმს დაუდგება მეთაურად რჩეული, მარჯვე, გამოცდილი, როგორც ფეხის სიმარდით, ისრე მკლავის სიმაგრით, ჭაბუკი. რაზმს უკან სდგას მოთხუპნული, დაგლეჯილის სამოსლით შემოსილი, ვირზედ უკულმა მჯდარი ყეენი, რომელსაც გარს მცველები ახვევიან. ორივე რაზმი დადგება სერის პირზე და გადაჰყურებს საოცარს ბუნების სანახაობას, სულის მომხიბლავს სურათს: ციხეს ძირიდამ ამაყად შემოჰყურებს წმიდა ტაძარი, მოწამე ბევრის მწუხარებისა. მთელი ღელე დაფენილია ჰალა-ვენახებით, რომელთ შუა მიიკლაკნება ანკარა, ვერცხლოვანი, გიჟი მდინარე მთისა. ადამიანის თვალი ხარბია; უნდა ყოველის სურათით დასტკბეს; ერთიდამ მეორეზედ გადადის, რადგან ერთი მეორეზედ უკეთესია; ერთი მეორეზედ უარესად გხიბლავს, გიტაცებს, სულს გიმაღლებს, მიჰყვეხარ შორს-შორს ცის სივრცეში; შემდეგ გაგდებს ოცნება უფსკრულში და იკარგები. ვაჟკაცს ეს სურათი გულს უმაგრებს; მის სულს აძლევს სიმტკიცეს რვალისასა…

ბაირაღტარი, მეთაური რაზმისა, დაიძახებს სამგზავრო სიმღერას: «ჰარალალი, ვარხალალე და სხვ.», მეორე რაზმის მეთაური მოსცემს ხმას და ორივ გუნდი დაეშვება სერზე საყდრისკენ; გარბიან თავ-გამომეტებით, მკვირცხლად, როგორც გრიგალი ქარი, რომ საყდრის კართან დაარჭონ ბაირაღი. ვინც პირველად მიიჭრება საყდრის ბჭესთან და დასვამს ბაირაღს, მას დაუვარდება ვაჟ-კაცობის ხმა; მას აქებენ და ადიდებენ სოფელში, მთელს ხეობაში;მას აქებენ და ამკობენ სოფლის მოლექსეები. აქ გაიმართება ხოლმე შეტაკება, ცილაობა, ჰიდილი, მაგრამ ბოლოს მშვიდობით თავდება საქმე: ორივე რაზმის მეთაურები ერთმანერთს ეხვევიან, ჰკოცნიან და მიდიან თავიანთ ყეენებით წყალზე, სადაც ყეენს ჩაასველებენ. როდესაც თავდება ეს საქმე, კვალად მოდიან საყდართან; აქ ორივე მოშუღლე უბანი ერთდება, ერთ სულ-ხორცდება, შლის სუფრას და ნადიმად ჯდება.

საყდარს უვლია გალავანი; ჩრდილოეთით მას მიხუტვიან ბზის ხეები; მთელი გალავანი ზაფხულში შემოსილია ბალახით, რომელიც ხავერდის ყდასავით გადაეკვრის ხოლმე; გარს მას ახვევია ცაცხვის ხეები. ცოტა მოშორებით, მაგრამ საყდრისავე მეიდანზე, სდგას უზარ-მაზარი ცაცხვის ხე, რომელიც თვისის ფართო, მრავალ-შტოვან ტოტებით ჰფარავს საყდრის მიდამოს; აჩრდილებს მეიდანს. მრავალჯერ გაიშლება ხოლმე ზაფხულობით ცაცხვის ძირში მორიგი სადილები, ისმევა ღვინო და აღფრთოვანებული სული ოცნებას ეძლევა; საღამომდე აღარ თავდება ღრეობა, ცეკვა-თამაში და შექცევა. ცაცხვი დაბერებულა; დროსა და ჟამს მოუკვეთნია მრავლად მისთვინ ტოტები, რომელნიც ხალხს ერთს ალაგას შეუგროვებია, მოკრძალებით შესცქერის, როგორც ნაწილს წმიდა ხისას, სადაც, მათის აზრით, მღვთის-მშობელი განისვენებს ხოლმე დილა-საღამოთი. ცაცხვის გარემო ჰყრია ზედაშის ძირ-გავარდნილი, ან პირ-მოტეხილი ქვევრები, რომლებიც პატრონს მოუტანია საყდრის კარს და მისთვინვე შეუწირავს.

ამ დღეს ხალხი ჩვეულებრივზე მეტი სჩანდა. მარიობისთვის თხუთმეტი იყო. დიდი და პატარა, ყმაწვილი და მოხუცებული, აზნაური და გლეხი—ყველანი შეეკრიბნა ამ ბრწყინვალე დღესა. თითქმის ყველა გლეხს ხელთ ეპყრა ზედაშის ჩარექი. მშვენიერი ზაფხულის დღე ხალხს სალხინოდ ხელს უმართავდა. ყოველ ამ დღეს მთელი სოფელი, თითქმის მთელი ეს პატარა და ვიწრო ფრონის ხეობა, ცაცხვ ქვეშ შლის სუფრას; ყველა ოჯახი, ყველა მლოცავი, სუფრა-სუფრას გადააბამს, შეიქნება უზარ-მაზარი, თვალ-უწვდენელი გრეხილი, ჯაჭვივით გაბმული და მიხვეულ-მოხვეული. ერთი ოჯახი მეორეს

ჯარების გამრავლება, ოსმალეთის ფაცი-ფუცი, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს,—და მაშინ ცხადი იქნება, რა დღეშიც არის დღეს ევროპა.

ახალი ამბავი

⁂ 18 მარტს პეტერბურგის ბირჟაზე, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ათ-თუმნიანი ფურცლები იყიდება თურმე 97 მან. და 25 კ., მაგრამ გამსყიდველნი არ აღმოჩენილან, ქუთაისისანი კი გასყიდულა 96 მან. და 75 კაპ.

⁂ ბ-ნის გუბერნატორის ბრძანებით კომისიას გაუშინჯავს მინერალურის წყლების ქარხნები და აბგარიანცისა, აკოფოვისა, მადერისა, გენატისა, გასპაროვისა და საამოვის ქარხნებში გაკეთებულს წყლებში აღმოუჩენიათ **«Углекислая Окись мѣди»**. ამას გარდა მაყვლისა და ვარდის წყალში, მაყვალის ესენციაში და მაყვლის ბადაგში, რომელიც დოლანოვის, საამოვისა დ გენატის ქარხნებში კეთდება ძალზედ არის სალებავი წამალი შერეული. გუშინვე გაშინჯეს ყველა სასმელის გამსყიდავი დუქნები და სადაც კი ხსენებულის მექარხნების წყალი იპოვნეს, მოსპეს და მედუქნეებს-კი კვიტანციები დაურიგეს, რომელშიაც აღნიშნული იყო: რამდენი შუშა სასმელი გამოართვეს და რა ფასისა. კვიტანციაშივეა დანიშნული, რომ მედუქნეები, რომელთაც შუშები გამოერთოთ, მექარხნებისაგან მიიღებენ ნაზარალევს ფულსაო. ჯერ მარტო პოლიციის მე-6-სე განყოფილებაში 700 ბოთლია მოსპობილი.

⁂ კვირას, 23 მარტს ქართულის დრამატიულის დასის არტისტისაგან გამართული იქნება კონცერტი არწრუნისეულს ქარვასლაში.

⁂ რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად განხილვაშია იმის პროექტი, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ალაგას აბრეშუმის შემუშავების სკოლები გაიმართოს.

⁂ იმავე გაზეთების სიტყვით, ზოგიერთი სამთეო უწყების აფიცრები აპირობენ კავკასიაში მოსვლას და ახალად აღმოჩენილ შავი-ქვის შემუშავებას.

⁂ გაზ. «Нов. Обоз.» გაუგია, რომ განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში დაარსონ ტფილისში «პრიკაშჩიკების თავდებობით საკრედიტო საზოგადოება» (Общества взаимнаго кредита прикащиковъ).

⁂ აგერ რამდენიმე წელიწადია ავლაბარში არსებობს ტფილისის სამოქალაქო სამკურნალოს განყოფილება; ამ სამკურნალოში დადის ყველა ღარიბი და საწყალი ავლაბრელი. თურმე საქმე ვერ არის რიგზე მოწყობილი. ავად-მყოფებს ეძლევათ მუქთად და ან ნახევარ ფასად წამალი მხოლოდ ბ-ნის გენეს აფთექიდამ, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე. მაშასადამე, საწყალმა სნეულმა, ავად-მყოფმა ავლაბრიდგან ვერამდე უნდა ეთრიოს წვიმა-ტლაპოში და იქნება ერთით ავად-მყოფმა სხვა კიდევ ახალი სენი შეიძინოს, მხოლოდ იმისთვის, რომ წამალში ფული რამდენიმე კაპეიკით ნაკლები გამოართონ. (გაზ. «Нов. Обоз.»)

⁂ 17 მარტს, საღამოს 9 საათზედ ერევნის გუბერნიის, სურმალინის მაზრის, სოფ. იგდირის მცხოვრებელს გართან ყაზაროვს, ერევნის მცხოვრებელს ოჰანეზ ყაზაროვს და ახალ-ბაიაზეთის მცხოვრებელს მიკირტიჩ აკოფოვს ალექსანდრეს ბაღში მიუწევიათ სურმალინის მაზრის, სოფ. ალიჯკის მცხოვრებელი ზაქარ ასატუროვი, პირში ხელი მიუფარებიათ და ჯიბიდგან 290 მან. და ბაშფორთი ამოუცლიათ. დამნაშავენი პოლიციის 3 განყოფილების გარადავოის პარნოს დაუჭერია. ამ პირთ ნაწილი მოპარულის ფულისა უკანვე დაუბრუნებიათ. გამოძიება 1-ლის განყოფილების გამომძიებელს გარდაეცა.

⁂ 18 მარტს, საღამოს 10 საათზე პოლიციის მე-4-ხე განყოფილებაში ტფილისის 1-ლის სამხედრო სამკურნალოს თავი-ექიმის დეისტვიტელნის სტატსკის სოვეტნიკის მალინინის კარებთან მიუგდიათ ყმაწვილი-ვაჟი, 11 მარტს დაბადებული. ყმაწვილი საბებიაო ინსტიტუტშია გაგზავნილი. ბ-ნ მალინინს კაცთა მოყვარეობით სურს, რომ ამ ბავშვის აღზრდაზე ყოველ-თვეობით საჭირო ხარჯი თვითონ შეიტანოს.

ნაკვესი

შერმაზანაშვილს სტეფანეს და თ. ერისთავებს მამულების დავა ჰქონიათ უწინდელ «უგოლოვნი და გრაჟდანსკი პალატაში». პალატის წევრნი შემოუხვივნენ თურმე შერმაზანოვს და უთხრეს:

— ორი კაცი როგორ ვერ გიშოვიათ, რომ თქვენი საქმე გაარჩიონ და მოგვარიგონო.

შერმაზანოვმა უპასუხა:

— რას გვკვირთო!.. თუ ამოდენა პალატაში გამრჩეველი და მომრიგებელი კაცი ვერ გვშოვება, სხვაგან სადღა უნდა გვშოვნაო.

ა. თ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს დროს ზოგიერთმა გაზეთებმა გამოილაშქრეს მომრიგებელ მოსამართლეების წინააღმდეგ. ამ რაზმში მეთაურათ, რასაკვირველია, გაზეთი ,,Московскія Вѣдомости‘‘-ი იყო, რომელმაც თავის სტატიები ამ საგნის შესახებ შემდეგით დააგვირგვინა:

> თუ მომრიგებელ მოსამართლეს არც შეძლება და არც ნება აქვს, შეებრძოლოს და წინააღმდეგობა გაუწიოს უმაღლესს სასამართლოს დაწესებულებას, ესრედ წოდებულს «კასსაციონურ ეტლსა», რომელიც ჰსრესს და სთლახნის ყოველ ცხოვრების ინტერესებს,—მთავრობამ მაინც უნდა ყური მიაქციოს ამ გარემოებას; მთავრობის გულ-გრილობა ამ საქმეში სრულიად უადგილოა. დროა, დიდი ხანია დროა, დაიხსნას რუსეთი იმ კერპებისაგან, რომელნიც მთელ ქვეყანას დიდ შევიწროებას აყენებენ და ხალხს ჭკუიდამ ჰშლიან.

საკვირველია, რას გაუცეცხლებია ესე გაზეთ. Мос. Вѣд. ნუ თუ ძველის დროის კერპები—«მდივან-ბეგები» და «კაპიტან-ისპრავნიკები», —სჯობდნენ ეხლანდელს კერპებს, როგორც უწოდებს გაზეთი მომრიგებელ მოსამართლეთა?

⁂

ამ დღეებში ლაპარაკი გვქონდა ბალკანის ნახევარ-კუნძულის ორ პატარა ერზე, ბოსნიელ-ჰერცოგოვინებზე, რომელთაც ავსტრიამ მაგრა ჩაჰკიდა ხელი და დიდი შევიწროება მიაყენა. აი გაზეთი «Свѣтъ»-ი როგორ გვიხატავს ამ ერობის გაჭირვებულ მდგომარეობას:

> ოსმალებიც კი არ ჩადიოდნენ იმას, რასაც ეხლა ავსტრიის მოხელეები სჩადიან: ეკკლესიებს ჰშინჯვენ, საეკკლესიო ნივთებს ართმევენ, საეკკლესიო წიგნებს სჩხრეკენ და ჰგლეჯენ იმ ფურცლებს,..
>
> ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში ნემეცებს ასახლებენ, ყოველ შემწეობას აძლევენ და ყოველ საშუალებით ხელს უწყობენ, რომ ამ სახით სლავიანები სრულიად განაცალკევონ....
>
> ავსტრიის მმართებლობა არასა ჰზოგავს, რომ წარჩინებულნი, მაღალ გვარეულობის წარმომადგენელნი და სასულიერო წოდების გვამნი თავისკენ მოიმხროს: უხვად ასაჩუქრებს, ორდენებს ურიგებს; ამის შემდეგ უხვად დაჯილდოებულნი, რასაკვირველია, ჯაშუშობასაც აღარ [illegible].

ავსტრიას, ცხადია, ახალი არაფერი გამოუგონია და ძველს გზას დასდგომია, ძველი ღონე გამოუნახავს

დამაკვირდი!

საფლავი ვაჟ-კაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის. (ომეროფი)

⁂

«მოდა» უღმობელი კერპია, რომელსაც დედები თავის შვილებსაც კი შესწირვენ ხოლმე. (ბუასტი)

⁂

ჭკვიანი კაცები არა-თქმას რჩევობენ, როცა სულელნი ჭყვირიან.
(დე ფერიერი)

⁂

თუ შენგან არავინ გაიხარებს, შენი პირი კუპრის სწორია.
(სარგის თმოგველი)

⁂

ენის ძალით მებრძოლარი,
საქმით ცოტას გამარჯვებს.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

სჯობს აღსასრული კეთილი
დიდად დასაბამ კეთილსა.
(არჩილ მეფე)

სახელდახელო

(უბად-აღებული—წყალ-წაღებული ამბები)

«Нов. Обоз.» მე-769 ნომერში დაბეჭდილია ბ-ნი სოსლანის მოკლე და სევდიანი წერილი... «თეატრის» «დევ-გმირი», რომლის ხელში «პალემიკა» ყოველთვის ლახტი იქნება და არა უხეირო ჩოგანი», არ ლაპარაკობს დღეს არც თავის «დევ-გმირო-

---

მიართმევს და მისთავაზებს ძღვენს და ქაშნიკს; ეს ძღვნობა და ქაშნიკობა მთელს სუფრას შემოივლის; გაებმის ქართული «სუფრულები», მათ მოჰყვება ვაჟ-კაცური «ხევურო», «ჩონგურო», «ყურ-შავო», თავდება «კახუროთი». როდესაც ღვინო შეაფიცხებს მონადიმეებს, იშლება ფუტკარივით მთელი ეს ამოდენა მოლხინე კაცი და ქალი და სუფრის გარშემო ჰმართავს ფერხულს; შიგ დგებიან უმცროსნი, პროწიალობენ, თამაშობენ, კისკისობენ და ასდევ-დასდევენ ფერხულს. დაიშალა ფერხული და ზედ დაჰყვა, როგორც მეხი, სათამაშო «ცანგალა-გოგონა», რომლის მოძახილი ჰაერში ზარის წკრიალივით გაისმის. ყმაწვილი ბიჭები ჩამოაპროწიალებენ წრეში სამაიას. აგერ შესწყდა «გოგონა» და კვალად დასხდნენ სანადიმოდ. დღესაც ხალხი ემზადებოდა პურობას, ლაგდებოდა ცაცხქვეშა.

— პაი დედასა, ბევრი თავი არ გაუხმია ამ ცაცხვსა!.. ბერო, რამდენი წლისა იქნება ე ცაცხვი? ჩაეკითხნენ ბეროს, ღრმად მოხუცებულს გლეხს, რომელსაც გული არ დაჰბერებიყო და მუდამ ლხინის პაპად იყო.

— ჩემს პატარა ბიჭობაშიც ეგრე მინახავს; მაგრამ ეხლა და ეხლა კი ჩემსავით ეგეც იცარცვება; უწინ ამდენი ტოტები არ აკლდა... ვინ იცის როდინდელია. მამა-ჩემი იტყოდა ხოლმე, რომა, ჩემი სულის ცხონებამა, მეფე ერეკლეს ბევრჯელ მიურთმევია ამ ცაცხვს ქვეშა პურიო, სწორედ ამ დღესაო... ესე სოფლობრივ პურობა არსად თურმე არ იცის დღეობაში, როგორც აქა. ამ დღეს თურმე მობრძანდებოდა ი სულით განათლებული მეფე ერეკლეი და ასეთი ტკრციალი და კიჟინა ჩაეარდებოდა ხოლმეო თურმე, რო მეორედ მოსვლასა ჰგვანდაო.

— ცოცხალია? იკითხა ახალ-გაზდა გლეხმა.

— ხა, ხა, ხა! ჩაიცინა ბერომ, თავი ჩაჰკიდა, ქვემოდამ ნაღვლიანად ამოხედა გლეხს. მეც ჰარი-ერად მახსოვს, შვილო!

— ჰეიდა ჰაა! მაშ არც შენ გახსოვს, ბერო? იკითხა გაოცებით ცნობის მოყვარე გლეხმა.

— მე ბატონიშვილებს მოვესწარი; ერთს ომშიც დაევესწარი, აქ გასწორდა ბერო, აიმართა, მაგრამ წელი აღარ მორჩილდებოდა, წლოვანებას ის მოერკალნა და კისერი ჩაეძერინა. მას სახე გაუბრწყინდა, გაუნათლდა; მიხვრა-მოხვრა ყმაწვილური გაუხდა, მთლად გაყმაწვილდა თითქო.

— ბატონიშვილი ფარნაოზი ამ ჩვენ ციხეში იდგა ჯარითა, განაგრძო ბერომ. ღამე გვაცნობეს სოფელსა, რო ცხინვალის მხრიდამ ლეკი დაგვეცემაო; ყველამ იარაღი ავიღეთ. მე მაშინ შეღერებული ბიჭი ვიყავ, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. როგორც გინდა თქვი და ე ღამი მეხრეობა კი შემეძლო. ჩვენი სახლიდამ ყველანი ქუდზედ კაცი გავედით. აიმ ჩირგვნარში ჩავუსხედით,—გახედა ბერომ გაღმა სერსა,—ჩავუსხედით ერთი სამოციოდ შეიარაღებული ბიჭი, ამდენივე ციხეში იყვნენ. ეიდა ჰაა! რა ნაირ გული გვერჩოდა... აგერ ჰა, აგერ ჰა, ზედ უნდა მოგვადგეს მტრის გუნდი. გულმა სუ ბაგი-ბუგი შექნა; რო შემოვიდნენ თუ არა ჩირგვნარში, გადმოვუხტით ხმალ-ამოწვდილები, ბატონო, და შეიქნა ხელ-და-ხელი ომი, სუ ცეცხლს აკვესებდნენ ხმლები. თავი არ მომიკვდება, სულ ტოლი ბიჭები ვიყავით, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა, შიგა-და-შიგ თუ გვერივნენ ნაცადი ბიჭები. მაგრამა, ე კუბოსა-ღვთის-მშობლის მადლმა, ისე ვჩეხეთ და ვკაფეთ, როგორც თხები. ნაბიჯი არ ვაქნევინეთ, ნაბიჯი. რო დაინახა ციხეში მყოფმა ხალხმა, რო შევატბორევით ლეკის გუნდი, იხუვლა და ასეთის კიჟინით დაეცა, რო სულ იარაღი დაყარეს... აი დედას დაველიე, სადღაა ის ჯანი და ღონე ეხლა; ვაჰ!...

— ამისმა სიცოცხლემ, ე ცუგოს ბიჭიც კი გადავარდება აი, გაიხმაურეს ახალ-გაზდა გლეხებმა.

— თქვენ კი ყურებს დააჭრით ვისმე, არა? ტყუნი რა ვთქვა, რომ თქვენ არაფერშიც არ ჩამოგივარდებით, სთქვა ნაწყენმა გლეხმა.

— ეე! რა ნაირ დაემანდა ეხლა ქვეყნიერებაი და! ეხლა? ე მაგითანა ვაჟკაცობა ძნელი საფიქრებელიღაა, სთქვეს მოხნიერებულმა გლეხებმა.

— გაჭირვება ავაჟკაცებს, მამაშვილობამ, კაცსა, გაჭირვებაი, დაიწყო კვალად მოხუცმა ბერომ. მაშინ ჩვენგან პირველი აღება იყო ხელში იარაღისა, მაგრამ ნაცად ბიჭებს გადავაჭარბევით. გაჭირვება დიდი რამ არის, მაგრამ გულიც კი უნდა მოგდევდეს. ეხლა დამშვიდებული ვართ, მაგრამ აბა მაშინდელივით შენს ცოლ-შვილს უქადიდეს რამეი, ან სოფელს შემოესიოს მტერი, ასე გალომდები, რომ როგორც გახელებული კაცი. მე გამომიცდია, ბიძია, მე...

კიდევ ბევრის ძველის ამბებით გაართო და და დაატკბო ხალხი მოხუცმა ბერომ, რომელიც ყავარჯენს დაყრდნობიყო და მის მოკაუჭებულს თავს დასჩერებიყო. მას ყოვლისფერში ძველი ქართველობა ეტყობოდა; ჯერ ჩაცმა-დახურვა იქცევდა ადამიანის ყურადღებას: ბუხრის შავი და დაბალი ქუდი; ახალუხი ჩაშარვალებული; ზემოდამ შავი შალის ჩოხა; ამის ქვეშ თეძოზე შემოგდებული, პრტყელი და გრძელი ხანჯალი; შარვალი ჩაკეცილი შავ საცვეთებში; ამ მის მოკაზმულობაში გამოსჭვიოდა ყმაწვილური თვალთა-მხედველობა, ყმაწვილური გული. მას გარს ეხვია ხალხი და მოწიწებით უსმენდნენ ძველს ამბებსა. მინამ სადილი გაიმართებოდა, კიდევაც ბევრს რასმეს ეტყოდა ნაცადი ბერო თვის უმცროსებს, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ, რომლის მსგავსი არა თუ როდისმე მამხდარიყო სოფელს ზედა-ჯვარში, ხილვითაც სიზმრად არავის უხილავს, გაგონებითაც კი არავის ყურს არ სმენია, თავ-ზარი სცა ცაცხ-ქვეშ მყოფთა, აღელვა და ააშფოთა სულით დამშვიდებული, დაემინებული ხალხი. სული გაუბოროტა სმენელთა და ამაოდ ჩაუარა მთელის იმ დღის ნახული სიტკბო-სიამოვნება. როდესაც ბერომ ერთი ამბავი გაათავა და ზედ ჩვეულებრივად დაურთო: «მე გამომიცდია, ბიძია, მე!!.» ამ დროს მოულოდნელად უცნობმა კაცმა უკანიდამ დაჰკრა მძლავრად თავში კეტი პარმენ ჯობინაშვილს, რომელიც ცაცხ-ქვეშ იდგა და სხვასთან ერთად გართულიყო ბეროს ბაასით; იგი უსულოდ დაეშვა რბილს ნიადაგზედ, გადმოსკდა ნაკადული სისხლისა, რომელმაც დაალტო წმინდა ადგილი და შავად დაავდა მწვანე ბალახს: გული დაუსერა სასიამოვნოდ და სალხინოდ მოსულს ხალხს ამ სისხლმა. მხოლოდ ამის დაყვირებაღა მოასწრო სულ შეკმენდილმა პარმენმა:

— გმირისეულმა მომკლა, გმირი... და დაეცა როგორც ძირ-მოკვეთილი ხე. ხალხი დააჭმუნვა ამ გულის ამშფოთმა შემთხვევამ; ლხინი ჭირად შეუცვალა და ყველა იძულებული შეიქმნა თვის-თვისად წასულიყო და მოსცლიყო იმ წმინდა და მაგრამ ამ ჟამად ბოროტის ხელით შეგინებულს ალაგს, რომელიც ადამიანის სისხლით შეისვარა.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

ბაზე», არც «ბოხვერა ძაღლის» მამაცობაზე და არც სხვა ამ გვარ «შინაურ» საქმეებზე. ამაებისთვის, როგორც სჩანს, აღარ სცალია ეხლა ბ-ნ სოსლანს... სხვა უფრო მწველს და სწორედ რომ მისთვის «შინაურს» საგანს მიუხდია მისი ყურადღება. «მეო, შესტირის ბ-ნი სოსლანი რუსულ გაზეთის მკითხველებს, ამას წინედ დავბეჭდე «Нов. Обоз.» რამოდენიმე წერილი ფშაველებზე, რომელშიაც თვითონვე ვამბობდი, რომ ვსარგებლობ, როგორც მასალით, «ივერიის» წერილებით ამ საგნის შესახებო. ხოლო, განაგრძობს ბ-ნი სოსლანი, «ივერიამ» დამწამა, რომ ვითომ მისგან უნდა გადმომებეჭდოს ეს წერილები და ამ გვარად ორ-ნაირი დანაშაულობა უნდა ჩამედინოს: მომეპაროს სხვისი და განზრახ შეცდომაში უნდა შემეყვანოს «Нов. Обоз.» რედაქცია, რომლის ნდობით მე ამ გაზეთის დაარსების დღიდამ ვსარგებლობო». შემდეგ ბ-ნი სოსლანი, რასაკვირველია, ბრძანებს, რომ «ივერიის» მხრით ეს ყოვლიფერი ცილის-წამებააო. მე მხოლოდ ოციოდე სტრიქონი ამოვიღე ქართულ გაზეთიდამ და ისიც გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტების შესახებ, რომელთ შეცვლა და გადასხვაფერება, როგორც მე ისე არავის არ შეეძლოეო. ხომ ვერ დავწერდი იმას, რომ ქიწვანთან არაგვი კი არა—რეინი და გვადალკვივირი ჩამოდიანო და სხვა... ამ ვითომ და მოხერხებული თავის გამართლების შემდეგ ბ-ნი სოსლანი ნიშნის მოგებით გვკითხავს:

— «Не такъ-ли, господа изъ «Иверіи»?

⁂

— Совсѣмъ не такъ, господинъ изъ «Новаго Обозрѣнія» და ეხლავ მოგახსენებთ რისთვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით გთხოვთ პასუხი მოგვცე ერთს კითხვაზე: «ხელმძღვანელობა» რომელიმე სტატიით დიდის სტატიის დასაწერათ და ორი ფაქტის (იგიც ისტორიულისა და გეოგრაფიულის) ამოღება იქიდამ, ნეტავ ეს ერთი-და-იგივეა? — ჩვენის ფიქრით,— არა. პირველი აქარწყლებს და ეწინააღმდეგება მეორეს, ხოლო მეორე პირველს, ერთის სიტყვით, ან ერთი უნდა იყოს მართალი, ან მეორე, ან ერთში უნდა სტყუოდეს ბ-ნი სოსლანი, ან მეორეში, მაგრამ, ვსთქვათ, ეს არაფერი, ვსთქვათ, ეს უბრალო ლოღიკური შეცდომაა, რომელიც ასე შეშვენის იმ პირს, რომლის ხელში «პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და არა უბრალო ჩოგანი»,—გადავიდეთ სხვაზე.

ბ-ნი სოსლანი ამბობს, რომ ჩემ სტატიების დასაწყისშივე მოვიხსენიე, რომ ვსარგებლობ «ივერიის» სტატიებით, როგორც მასალით, მაშასადამე «ლიტერატურული ქურდობა» არ ჩამიდენიაო.—ეს ტყუილია!.. ბ-ნს სოსლანს უსათუოდ ერთი რამ აღარ მოჰგონებია აქ: ლიტერატურაში მიღებულია, რომ სხვის თხზულებიდამ სიტყვა-სიტყვით გადმოღებულს ან შესაფერი ნიშნები უნდა დაერთოს, ან ითქვას რომ სხვის სიტყვებიაო. ბ-ნს «დევ-გმირს» სოსლანს ამ ლიტერატურულ მართებულობისათვის ყური არ უთხოვებია,—მეტი ბარგია მაგ გვარის «დევ-გმირისათვის»—და სხვის მიერ თქმულისათვის, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოუღია, არამც თუ ნიშნები რამ დაუსვამს, არამედ თავისის სახელის ფერ-უმარილი წაუგლესია, ვითომ და ჩემი საკუთარიაო. ჩვენ არა გვჯეროდა ბ-ნ სოსლანის «დევ-გმირობა» და ეხლა კი ამის მნახველთ გვჯერა, რომ იგი მართლადა «დევ-გმირი» ყოფილა.

ბ-ნს სოსლანს ასე პირ-და-პირ და გულ-ახდილად კი არ უთქვამს: ვსარგებლობ «ივერიის» წერილებით, როგორც მასალითო,—არა მან თავისებურის გულ-წრფელობით დაამატა თან, რომ «ივერიის» წერილები სუსტნი არიან ცნობებით და ამას გარდა დამახინჯებული ტეილორის და ლებოკის აზრებითო, მაგრამ მე, დავით სოსლანს, ჩემი საკუთარი ცნობები მაქვს ფშაველებზე და მაშასადამე ამ ორიგინალურ ხალხზე შემიძლია მოველაპარაკო მკითხველებსო. გამოდიოდა, რომ «ივერიის» წერილებიდამ თითქმის არაფერი არ იყო ბ-ნი სოსლანის წერილებში და თუ იყო შევსებული და გამშვენიერებული უნდა ყოფილიყო მისის «საკუთარის აზრებით და ცნობებით»... აი, ეს გახლავსთ ის «эфто самое мѣсто», რომლის გამოც ჩვენ ვთხოვთ ბ-ნს სოსლანს ანგარიშს. გვითითოს მან ერთად ერთს ცნობაზე, რომელიც არ იყოს გადმოღებული «ივერიიდამ» და მაშინ გამოჩნდება: ვინ სტყუის და ვინ მართალს ამბობს,—ის, თუ ჩვენ. სანამ ის ამას არ იქმს, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვით, რომ მისი სტატია, როგორც დამტკიცებულია, სხვათა შორის, გუშინდელი შენიშვნითაც «ივერიაში», სიტყვა-სიტყვით, რუსები რომ იტყვიან «съ собачьею вѣрностью», სწორედ ისეა გადაღებული «ივერიიდამ». ცარიელი სიტყვებით ბ-ნი სოსლანი ვერავის ვერ დააჯერებს და ყველა მიხვდება, რომ ბ-ნი «დევ-გმირი» მისგანვე მოწყობილ ხაფანგში გაება. საქმე იმაშია, რომ ბ-ნს სოსლანს «Новое Обозрѣніе»-ს გულის მოფხანაც ჰსურდა «ივერიის» მეოხებით და თან «ივერიის» გამოლანძღვაც.

⁂

დასასრულ ორი სიტყვა ბ-ნ სოსლანს:

მოწყალეო ხელმწიფევ! თუ თქვენ მართლა უდანაშაულოთ ჰგრძნობთ თქვენს თავს იმ საქმეში, რომელსაც გაბრალებენ, აი სწორი გზა თქვენის სიმართლის დასამტკიცებლათ: ამოწერეთ თქვენ სტატიებიდამ „Изъ этнографіи Кавказа» თქვენი საკუთარი აზრები და ცნობები და გნებავსთ დაჰბეჭდეთ «Нов. Обоз.»-ში, გნებავსთ გამოგვიგზავნეთ დასაბეჭდათ «ივერიაში». მაშინ ნამდვილად დამტკიცდება, რომ თქვენ «литературный воръ»-ი კი არ ბრძანებულხართ, არამედ პატიოსანი კაცი, რომელსაც ცილის წამებამ სახელის შებღალვა მოუნდომა. ჩვენ პირველნი გამოვაცხადებთ მაშინ ამას საქვეყნოდ და იმასაც დავუმატებთ, რომ თქვენს ხელში «პოლემიკა ყოველთვის ლახტი იქნება და სხვისაში კი—უხეირო ჩოგანი!...»

⁂

თუ «დიადიდამ სასაცილომდის — ერთი ნაბიჯია», სასაცილოდამ სასაცილომდის სულ არავითარი მანძილი არ უნდა იყოს. მაშ ბ-ნ დ. სოსლანზე ლაპარაკის შემდეგ ვსთქვათ ორი სიტყვა ბ-ნ პ. მირიანაშვილზედაც. ეს ვაჟბატონი მიჩივის «თეატრში», რომ ცილი შემწამეო, მე არასოდეს არ მითქვამს, რომ ჩვენს ხალხს საერო სიმღერები არა აქვს და არც მირჩევია მისთვის რომ «სერენკი კოზლიკი» იმღეროსო და სხვ.

«აი, ბრძანებს ბ-ნი მირიანაშვილი, რას ვამბობდი პოზიტივად ჩემ წერილში: ეს ხელოვნური რუსული სიმღერები და სხვა-და-სხვა ოპერის ნაწყვეტები ქართულად თარგმნით, მუსიკის შეუცვლელად, რომ ვრცელდებოდენ ჩვენ საზოგადოებაში კარგი იქნება-მეთქი».

ეს, ვსთქვათ, ასეა, მაგრამ ბ-ნ მირიანაშვილს ავიწყდება, რომ იგი წინანდელ წერილში არა ნაკლებ «პოზიტივად» ბრძანებდა შემდეგს:

«რაც ჩვენ დედა-ქალაქში ოპერა შემოიღეს, ჩვენის ხალხის სულიერ ცხოვრებას სხვა-და-სხვა სიამოვნება შეხვდა. რუსულმა ოპერებმა, კონცერტებმა, იტალიურმა ოპერებმა და კონცერტებმა და არა ნაკლებ იმ გარემოებამაც, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ჩვენებურ ყმაწვილებს რუსულ სიმღერებს ასწავლიან, დიდად შეაჩვია ხალხი გალობას და სიმღერას. მაგალითებისათვის შორს არ წავალ: ყველა ჩვენთაგანი «Жилъ былъ у бабушки сѣренькій козликъ»-ს, ან და «Внизъ по матушкѣ по Волгѣ»-ს უფრო იმღერის, ვიდრე ჩვენ საერო სიმღერებს...» («თეატრი» № 4)

დიდო კრიტიკოსო! თქვენ გესმისთ, რა გამოდის ამ თქვენის სიტყვებიდამ? «ოპერებმა ჩვენის ხალხის სულიერ ცხოვრებას სხვა-და-სხვა სიამოვნება შეახვედრაო!» «სერენკი კოზლიკმა» დიდად შეაჩვია ხალხი გალობას და სიმღერასო!» რა ხალხია ეს «სერენკი კოზლიკს» რომ მღერის? ან და რა საერო სიმღერები უნდა ჰქონოდა იმ ხალხს, რომელსაც «სერენკი კოზლიკმა» სულ დაავიწყა თავისი საკუთარი სიმღერა და გალობა? გალობას და სიმღერას შეაჩვიაო ჩვენი ხალხი. მაშ მანამდე ჩვენი ხალხი შეჩვეული არა ყოფილა?

«პოზიტივად» მბრძანებელო!!...

,,პოზიტიევად'' ლაპარაკს ისა სჯობია, ბ-ნო მირიანაშვილო, დამეხმაროთ ერთს საქმეში. მე დავსწერე ლექსი, რომლის ხმაზე გადატანა, ჩემის ფიქრით, მეტად სასარგებლო უნდა იყოს ჩვენის ხალხისათვის, რომ ,,გალობას'' შეეჩვიოს. ვერ მოსძებნით თქვენ მათს სამღერალს ჰანგს, ,,რომ მუსიკა არ დაიკარგოს'' მასში? ეს ლექსი ასე იწყება:

«პოზიტივად» მბრძანებელი
გაირჩევის მარტო მითა,
რომ «თეატრში» «კოზლიკს» მღერის
«ზარითა და ზეიმითა»...

თქვენც დაინახავთ, ბ-ნო კრიტიკოსო, «რომ ეს ლექსი ძლიერ ხელოვნურად არის დაწერილი. მუსიკა და რითმი ორივე დაცულია». რადგან მუსიკის გაელენა «მიუცილებელი ყოფილა'', ის არა სჯობია, რომ უცხოეთის და რუსეთის მუსიკურს საუნჯეს ჩვენიც დავრთოთ ზედ?... ჰა, რას იტყვით თქვენ ,,პოზიტივად'' რომ ჰსთქვათ?

ილ. ხონელი

რუსეთი

უმაღლესის ბრძანების თანხმად პეტერბურგისა და ნეჟინის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტებში სტუდენტები ვალდებულნი არიან ისეთივე ტანისამოსი ატარონ, როგორიც ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებისათვის არის დაწესებული.

* * *

ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს მოულაპარაკნია მწერლობის წარმომადგენლებთან და გადაუწყვეტიათ, რომ ეხლანდელზე მეტი ფასი გადასხდეს რედაქციებს გაზეთებისა და ჟურნალების გაგზავნისათვის ფოსტით. ფასი უნდა მოემატოს არა წონისა და სიმძიმის მიხედვით, არამედ ჟურნალისა და გაზეთის ფასისამებრ. მოლაპარაკება ჰქონიათ აგრეთვე, რომ ამ გადასხდაში ნაღდის ფულის მაგიერ რედაქტორებს შეეძლოთ ფასიანი ქაღალდები შეიტანონ ფოსტაში.

იმის გამო, რომ ფოსტას ეტვირთნა უბანდეროლოთ ჟურნალ-გაზეთების გზავნა, გადასწყდა, რომ ეგ ჯერ მოუხერხებელიაო. სცდელათ კი ფოსტა სცდის მაგას სამეფო და იმ საგუბერნიო ქალაქებშიო, რომელნიც რკინის გზის ახლო მდებარეობენო. ეს საქმე რომ გადასწყდება, მერე ადგილი იქნება გადასწყდეს მეორე ფრიად საყურადღებო საქმეც,—რომ თვით ფოსტისაგან დაიკვეთონ ხოლმე გაზეთი გაზეთის დამბარებლებმაო.

ყველა ამ საგნების განსახილველად ცალკე კრება იქნება ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოშიო და კრებაზე მოწვეულნი იქნებიან აგრეთვე მწერლობის წარმომადგენლნიცაო.

* * *

აღებ-მიცემობის საქმეთა-შორის ყველაზე საყურადღებო დღეს ის არის, რომ პურს ფასი მოემატა და პურის გაჩრობა ძალიან განცხოველდაო. სამწუხაროდ ამით უფრო სხვა-და-სხვა აღაფები და სოვდაგარნი ისარგებლებენ, ვიდრე თვით პურის მომყვანნი და მწარმოებელნიო.

საქმე იმაშია, რომ ვისაც პური ჰქონდა გასასყიდი, ზამთრის გასვლამდე ვეღარ გამაგრდა და იაფობაშივე გაჰყიდა პურიო და პურის გამკირებით ხეირი ვერა ნახაო. ან კი რა ჰქნან პურის პატრონებმა. ამდენი ხანია ზედი-ზედ პურს ფასი არა ჰქონიაო და იმედი დაეკარგათ, ეგონათ, აღარ მოემატება ფასიო. ამას გარდა კიდევ, თუნდაც რომ იმედი ჰქონოდათ ფასის მომატებისა, ბევრს მემამულეს არ შეუძლიან უცადოს ამ ზედნაირს დროს და გაჭირების გამო იაფობის დროსვე ჰყიდის თავის ჭირნახულსაო.

უცხოეთი

სერბია. გაზ. «Новое Время»-ს სერბიელი კორრესპონდენტი, ვინაც русскій странникъ-ი აგერ რამდენიმე ხანია განუწყვეტლივ სწერს ამ გაზეთს სერბიის ამბებს და სხვათა-შორის ამტკიცებს, რომ ბოლგარიას სერბია სრულიადაც არ დაუმარცხებიაო. ამის დამტკიცება ის არის, სხვა საბუთთა გარდა, რომ სერბიამ უფრო მეტი დავლა და ალაფი იშოვნა, უფრო ბევრი ტყვე დაიჭირა ომში, ვიდრე ბოლგარიამაო. ბოლგარებმა სულ 800 კაცი დაატყვევეს და სერბიამ კი 3000 კაცამდეო. ამათ რიცხვში მარტო ბელგრადის ციხეში დამწყვდეულია 2442 კაციო. 1 ექიმი, 7 ობერ-ოფიცერი, 1,163 ჯარის კაცი, 1,157 მილიციელი—4 ავსტრიისა და სამი კიდევ სერბიის ქვეშევრდომთაგანიო. მთავრობა კარგა ეპყრობოდა ტყვეებს და კარგადაც ინახავდაო. ჯარის კაცთ დღეში განწესებული ფული ეძლეოდათ და ოფიცრებს კიდევ ოთხოთხი დინარიო (ექვსი აბაზი), ჯარის კაცნი შეშას ჰხერხავდნენ და საფქავს ჰფქვავდენ მეციხოვნე ჯარის კაცებთან ერთადაო და ოფიცრები-კი რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენო, დღისით თავისუფლად დადიოდნენ ქალაქშიო.

* * *

ბოლგარია. დიდმა სახელმწიფოებმა და ოსმალეთმა გადასწყვიტეს, რომ უკვე მოწონებული მორიგება ოსმალ-ბოლგართა დამტკიცდესო და მთავარ ალექსანდრეს მეტი ღონე აღარ ექნება, ადგება და მიემხრობა ამ დამტკიცებულს მორიგებასაო. მთავარი ალექსანდრე ამბობს თურმე, რომ მე დავემორჩილები მხოლოდ იმ მორიგებას, რომელიც ბოლგარიისა და ოსმალეთის შორის შეიკრა და რომელსაც ხვანთქარმა და მე ხელი მოვაწერეთო. და იმ მორიგებას-კი, რომელიც ოსმალეთმა მერე სულ გადაასხვაფერა დიდთა სახელმწიფოთა თხოვნისამებრ, მე არ დავემორჩილები, რადგან მე არა მკითხეს რაო. თუ მაინცა და მაინც ძალას დამატანენ, მეტი რა ღონე იქნება, უნდა მივიღო ეგ მორიგება, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ წინააღმდეგი ვარ მაგ გვარად საქმის დატრიალებისა და ვერც სიტყვას მივცემ ევროპას, რომ ის ვალდებულება შევასრულო ოსმალეთის მიმართ, რაც მორიგებაში მე მატვირთებინესო. მაინც და მაინც მე ვითხოვ, რომ მაგ მორიგებას «ოსმალ-ბოლგართ მორიგება» კი არ დაარქვან, «ევროპის განჩინება» უწოდონო.

* * *

ოსმალეთი. პოლიტიკური გაჭირვება ხომ გაჭირვებაა ოსმალეთისათვის, მაგრამ ფულის გაჭირვება მისი კიდევ უფრო უარესია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხვანთქარმა თავის ზანდუკი გახსნა და იქიდამ შესწირა ხაზინას უსაჭიროეს სამხედრო ხარჯისათვის 50,000 გირვანქა სტერლინგი (ჩვენებურად თითქმის ნახევარ-მილიონი მანათია). ორი დივიზია ჯარი მიუმატა ეხლა ოსმალეთმა თავის ჯარის საბერძნეთის სამზღვარზეო. თუ საბერძნეთს ოსმალეთთან ომი მოუხდა, ოსმალეთის ლაშქრის მთავარი ბინაკი ელასონში იქნებაო. საბერძნეთიც თურმე ამის შესაფერად აწყობს თავის ჯარებს და ოსმალეთის რაზმებს თავის რაზმებს უპირის-პირებს.

* * *

გერმანია. ნემეცების იმპერატორს ვილჰელმს 89 წელი შეუსრულდა 10 მარტს. ნემეცური გაზეთების მეთაური წერილები ამ დღეს სულ თურმე ამ საგანზედ ლაპარაკობდნენ. გრძნობით სავსე წერილები გაზეთებისა ტკბილის ენით მოუთხრობენ მკითხველებს დიდად ნაყოფიერს მოღვაწეობას გერმანიის იმპერიის აღმაშენებელისას. ბევრს არა რგებია ხვედრად, რომ სიცოცხლითვე დამტკბარიყო თავის ქველობის ნაყოფითა, ისე როგორც ჩვენი ღრმად მოხუცებული ერთ-მთავარი სტკბებაო. ამის გამო ვილჰელმი უბედნიერესი კაცია საკვდილის შვილთაშორისაო.

7 მარტს ბერლინში დიდი კრება გამართულა სოციალისტებისა. კრებაზე ბებელს სიტყვა წარმოუთქვამს გერმანიის ეკონომიურ გაჭირების გამო და სოციალებურ რეფორმის თაობაზედაო. პოლიციას ავად მოჰპყრობიან კრებაზედ დამსწრენი. ბევრი დაუტუსაღებიათ.

გასართობი

ჩვენ გადმოგვცეს ერთის ძველის კაცის «ანდერძი», რომელიც, როგორც დროთა-ვითარების გამომეტყველი, ფრიად საყურადღებოა და ამასთანავე გასართობიც. თუმცა აქ

მოანდერძე სახელებს ახსენებს, მაგრამ მათზედ ნათქვამი ისეთი უწყინარი ხუმრობაა, როგორიც ძველს დროში ჩვენთა დარბაისელთა წინა-პართა იცოდნენ ხოლმე. ამის გამო ჩვენა არა გვგონია, რომ ამ «ანდერძის» დაბეჭვდისათვის დაგვემდუროს ვინმე. აი თვით ანდერძი სიტყვა-სიტყვით:

ანდერძი

შლაც-მაიორის დავით ყორღანოვისა

1) თხუთმეტ წელიწადს საქართველოში ნამყოფს ნემცას ნუ გაუმეგობრდები.

2) ზაალ ბადალოვს და ზაზა ყორღანოვს არზას ნუ დააწერინებ.

3) საგინაშვილებთან გულ-წრფელი ნუ იქნები.

4) ყულიაშვილს ახალუხს ნუ შეაკერვინებ, თორემ ორასი კაცი რომ გყვანდეს დაპატიჟებული, შიგ გაერევა, ყველაზედ თავზედ დაჯდება და ინებიერებს.

5) საყვარელი რომ მოგიკვდეს ის გერჩივნოს, ვინამ ივანე ჰაქიმის (ჰექიმბაში ყარაევი) ჯულაბით მორჩე: ხალიჩასა გთხოვს, კარავსა გთხოვს, პოვოსკასა გთხოვს, დროშკას წავკისიდამ (ჩამოსასვლელად) გთხოვს,— სლოვომ სულს ამოგართმევს.

6) დალაქ არზუმანას სისხლს ნუ გამოაშვებინებ, თორემ მუქა რომ ფულით გაუმსო, მაინც ბუტბუტით გავა.

7) ისაკ აბემელიქოვთან სადილათ არ წახვიდეთ, თორემ ოც-და-ოთხს საათზედ ყველას შეატყობინებს, ახალი თევზი მქონდაო და ყაურმით ფლავიო.

8) ოჩხარ ნონიას ბალში ნუ წახვალ, თორემ ერთს წელიწადს ყველასთან იჩივლებს ბალის ტოტი შემიტეხა, პიტნის კვალი წამიხდინა და მოჰყვება ჩივილს, რომ ჩემს ბალში რომ ბალი ჰქონდათ, იმისთვინ ჩინი არ მამცესო.

9) ჰაციგელაშვილს მებარგულეთ ნუ წაიყვან, თორემ ცარიელის ჯიბით შენს საყვარელს გაუარშიყდება.

10) ჩინოვნიკთან ნამყოფს იმერელს რომ წითელის აკოლოშკით ფურაშკა ეხუროს, მას მოჯამაგირეთ ნუ დაიჭერ.

11) სარაჯოვის დუქნიდგან საქონელს ნუ იყიდი, რომ ქართველების გერშინგი *) არის.

12) კალატოზებს, ხუროებს და ავლაბრელ სომეხს ნათლიათ ნუ გაუხდებით, თორემ პოლიციის კარიდგან არ მოგაშორებენ.

13) შულავერელს, განჯელს, ყარაბაღელს, ერევნელს და გუმბრელ სომეხს რომ კრასნი ვოროტნიკი ჰქონდეს, მოერიდე, თორემ დავიდარაბის ნომრები უბეში უწყვიათ და ციციანოვის აქეთ რაც საქმე ჰქონიათ, წაგაკითხებენ.

14) დალალის ყაითმაზოვის ხელით ცხენს ნუ იყიდით, თორემ სუფრაზედ რომ ჯდებოდე, სალამით მოვა და გეტყვის: არ გახსოვს რომ კარგი ცხენი გიყიდეო?!

15) დალალ პეპანას ქალის ხელით ქალებს ნუ ეძებ, თორემ ექვს თითეში გაგაკუტრებენ.

16) მესაათე ფრანგს ა—ვს საათს ნუ გააკეთებინებ, თორემ სათვალებით სულს ამოგართმევს.

17) ფარსადან ციციშვილის ხელით გვაროვნობას ნუ ეძებ; მუქიკათ რო იყო, ის გერჩივნოს.

18) ტერტერა დუ...კას სახლს ნუ გაანათლებინებ.

19) იერუსალემსკის სადილათ ნუ დაჰპატიჟებ, თორემ ხელს აღარ აიღებს.

20) მელიტონის ბიჭს გეუას ჩექმებს ნუ შეაკერვინებ.

---

*) ამ საუკუნის დასაწყისში გერშინგი პირველი გამოჩენილი ევროპიელის მაღაზიის პატრონი იყო, გარეთ-უბანს სემინარიის ახლოს.

* * *

დეპეშა

17 მარტს

პეტერბურგი. დღეს დაასაფლავეს სახელ-განთქმული მქადაგებელი, დეკანოზი პოლისადოვი: წირვაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა; სამღვდელოება, მიცვალებულის სურვილისამებრ, დია ფერის შესამოსელით იყო შემოსილი; შეუღებავის ფიცრებისაგან გაკეთებული კუბო ხალხს ხელ-და-ხელ მიჰქონდა.

სტამბოლი. დიდნი სახელმწიფონი ერთ-ხმად ურჩევენ მთავარს ალექსანდრეს მიიღოს ის მორიგება, რომლის ძალითაც ბოლგარიის მთავარს, ხუთის წლის შემდეგ, კვლავ მიეცემა გენერალ-გუბერნატორობა აღმოსავლეთის რუმელიისა, თუ ოსმალეთი და დიდნი სახელმწიფონი მოისურვებენ.

ვენა. ოფიციოზური გაზ. «*Montags Revue*»-ი ამბობს, რომ თუმცა საკვირველია, მაგრამ სოფიიდამ მოწერილ ამბებიდამ სჩანს, ვითომ გამარჯვებულის ალექსანდრეს მდგომარეობა ბოლგართა შორის ისე საიმედო არ არის, როგორც დამარცხებულის მილანისა სერბიელთ შორისაო.

შარლრუა. გუშინ აქაც და პროვინციებშიაც საფრთხილო წესები დაადგინეს. ჯარებს უბრძანა, რომ იარაღი მოიხმარონ მაშინათვე, თუ პირველს თქმაზედვე, მეამბოხენი არ დაიშლებიან. გენერალ-პროკურორმა ბრძანება გასცა, ყოველის ღონისძიებით დაიცვან ქონება და სადგომნი მშვიდობიან მცხოვრებელთა. გუგიერის კრებამ მშვიდობიანად ჩაიარა.

18 მარტს

პეტერბურგი. სახელმწიფო რჩევამ დაიწყო განხილვა პროექტისა იმის თაობაზედ,—თუ რა უფლება და უპირატესობა უნდა ჰქონდეთ იმათ, ვინც იმპერიის მეტად განაპირა ქვეყნებში მსახურობენო.

ხარკოვის ვიცე-გუბერნატორი სოხნოვსკი დაინიშნა სმოლენსკის გუბერნატორად.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ რკინის გზის საქმეთა რჩევის წევრთა უმაღლესობამ გადასწყვიტა, ჯერ-ჯერობით 1 ოქტომბრამდე არ შეიცვალოს სამზღვარ გარეთიდამ ზღვით შემოტანილის საქონლის ბაჟი და ახალი წესები ბაჟისა დამტკიცდეს მხოლოდ 1 ივლისისათვის.

სოფია. დიდთა სახელმწიფოთა დიპლომატიურმა აგენტებმა გამოუცხადეს გუშინ მთავარს, რომ უნდა მიიღოს სტამბოლში დაბოლოვებით შედგენილი ოსმალ-ბოლგართა მორიგებაო და უთხრეს, რომ თუ ბოლგარიამ უარი სთქვა და არ მიიღო, დიდნი სახელმწიფონი ამ უარს უყურადღებოდ დასტოვებენო. გუშინ სადამოს არა-ჩვეულებრივი თათბირი ჰქონდათ მინისტრებს მთავრის თავმჯდომარეობითაო.

ლონდონი. რეიტერის საგენტო უარ-ჰყოფს გაზ. «*Times*»-ის ცნობას, ვითომ ავგანის მიჯნაზე მომხდარიყოს რამე და ამბობს რომ გამიჯვნის საქმე შეუფერხებლივ სწარმოებსო; ყველა სადავო ადგილების გამო რუსეთისა და ინგლისის კომმისრები მოხსენებას წარუდგენენ თავიანთ მმართებლობათაო.

მონი. 3,000 მუშას, რომელთაც პირობა შეუკრავთ, ნუღარ ვიმუშავებთო, იერიში მიუტანია ბარხმონტის ქვა-ნახშირის მადნებზედ, მაგრამ ჯარებს თოფები უსროლიათ და 74 მუშათაგან ზოგი დაუჭრიათ და ზოგი მოუკლავთ.

* * *

«ივერიის» ფოსტა

ქ. ქუთაის. დ. შავბედიანს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

სოფ. ვეჟინს მიხ. აზ—ნს. ნუ თუ გგონიათ, ვითომ საკმაო კაცი გრაფი იყოს, რომ ტოლსტოობა გასწიოს?

ს. ძ—ხევს. თ. კ—ვს. თქვენი ლექსები არც ერთი არ დაიბეჭდება.

დ. ო—ნს ქ. გ—ნს. პროგრამმა გაზეთისა არ მოგვირთმევია თქვენთვის. რედაქციას დაჰვიწყებოდა გამოგზავნა. ამ ნომერთან გიგზავნით.

დ. უ—ას თ. ხ—ძეს. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს წერილში ახალი არა არის-რა, ისიც რაც არის, მეტად გაგრძელებულია. ამიტომ არა ვბეჭდავთ. ძალიან ვსწუხვართ, რომ ამ შემთხვევაში იძულებულნი ვართ ეს მოგახსენოთ და ვიმედოვნებთ, რომ თქვენს სასარგებლო შეწეობას მაინც არ მოგვაკლებთ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

უველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

18 დღე სამშაბათი. წმ. კირილე იერუსალიმელ. სომეხ. 23 დღე დიდ-მარხვისა. კათ. გაბრიელ მთავარ-ანგ. მუსულმან. 25 დღე თთვის ჯემათ-ულ-ახირ. 1303 წლის ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4—30. ტფილისში მზე ამოდის 5—47; ჩადის 6—24. მთვარე ამოდის 3—17 ნღ., ჩადის 1—20.

19 დღე ოთხშაბათი. მოწ. ქრისანფე, დარია. კათ. წმ. იოსებისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—12. ტფილისში მზე ამოდის 5—45; ჩადის 6—25. მთვარე ამოდის 3—49 ნღ. ჩადის 2—15.

20 დღე ხუთშაბათი. ღირსთა-მამათა მაწყვედილთა წმ. საბას: იოანე, სერგისი დასხვ. კათ. ქ. ალექსანდრისა და ვიკენტი ეპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—54. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—26; მთვარე ამოდის 4—23 ნღ.; ჩადის 3—13.

21 დღე პარასკევი. ღირსისა იაკობ, კირილე. კათ. ბენედიქტესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—36. ტფილისში მზე ამოდის 5—41; ჩადის 6—27. მთვარე ამოდის 4-52, ჩადის 4—11.

22 დღე შაბათი. მწ. ვასილი მღვდლისა და სხვ. სომეხ. წმ. 40 ყრმათა სებასტიელთა. კათ. პავლე ეპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—18. ტფილისში მზე ამოდის 5—39; ჩადის 6—28. მთვარე ამოდის 5—22; ჩადის 5—7.

23 დღე კვირა. ღირსისა ნიკონ და 200 მოწამეთა კათ. ეკატერინესი. დაარსდა საქალებო ინსტიტუტი ტფილისში 1840 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—0. ტფილისში მზე ამოდის 5—37; ჩადის 6—30. მთვარე ამოდის 5—48 ჩადის 6—4 ღ.

24 დღე ორშაბათი. ღირსისა ზაქარია, ეპისკ. არტემისა. კათ. მარკოზისა, ტიმოთესი. მუსულმანთა: 1 დღე თთვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—43. ტფილისში მზე ამოდის 5—36; ჩადის 6—31. მთვარე ამოდის 6—25; ჩადის 7—17 ღ.

* * *

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

ბიბლიოთეკა

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაჭკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სალამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სალამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა
აკაკისა,

ისყიდება **მორიჯის** ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და **გრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში. **ფასი ათი შაური.**

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა **ქილილა და დამანა** მეფის ვახტანგ VI-სა თ. გრიგოლ გურიელის გამოცემა ილია ჭყონიას რედაქციით. ფასი სამი მანეთი. საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23 ისყიდება ტფილისის წიგნთა მაღაზიებში: გრიქუროვისაში, შავერდოვისაში, ჩარკვიანისაში და ცენტრალნი მაღაზიაში. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას წიგნზედ დაეთმობა ათი შაური.

10—5

Prince T. Dadischkéliani

L' ARMÉE GÉORGIENNE

au

Moyen âge

par

J. Mourier

თ. თათარხან დადიშქელიანი

საქართველოს მხედრობა

შედგენილი

მურიეს მიერ